აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 7

22 აგვისტო 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება - საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

1.დადგენილება

საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო - საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო ოლქებისათვის გამოყოფილ ხარჯებში გათვალისწინებულია გადაზიდვის (ტრანსპორტირების) ხარჯები დადგენილებით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში მოხდება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრა შესყიდვის მომენტისათვის ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით და უსკოს აპარატის შესაბამის სამსახური უზრუნველყოს საწვავის შესყიდვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო ოლქებზე საწვავის გადაცემა მოხდება ლიმიტის ფარგლებში ტალონური სისტემით.

აზრი გამოთქვეს: დიმიტრი დარჩიამ და არჩილ მიქელაძემ

კომისიის წევრი დიმიტრი დარჩია დაინტერესდა თუ იქნებოდა საკმარისი საწვავის დადგენილი ლიმიტი რაიონებში არსებული ოლქებისათვის და რა სახით მოხდება საწვავის მიწოდება იმ საარჩევნო ოლქებზე რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არ არის შესაბამისი ბენზინგასამართი სადგური.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ერთად ტარდება საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს არჩევნები საარჩევნო ოლქეზე საჭირო ფულადი სახსრები ასევე განაწილებული და გამოყოფილი აქვს ცესკოს და უსკოს მიერ განაწილებული და გამოყოფილი გადაზიდვის ხარჯები საკმარისია თითოეული ოლქისათვის. ასევე აღნიშნა, რომ უსკოს მიერ ოლქებისათვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტი განაწილებულია საარჩევნო ოლქის საზღვრების მიხედვით ხოლო რაც შეეხება იმ საარჩევნო ოლქების საზღვრებში სადაც არ არის შესაბამისი მიმწოდებელი ბენზინგასამართი სადგური, ასეთ საარჩევნო ოლქებზე საწვავის მიწოდება

მოხდება მიმწოდებელთან მოლაპარაკების გზით მათთვის მოსახერხებელი ფორმით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი შემდეგი ოდენობით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები (გადაზიდვის ხარჯები)
1	79	ბათუმი	1500
2	80	ქედა	1750
3	81	ქობულეთი	1500
4	82	შუახევი	1750
5	83	ხელვაჩაური	1500
6	84	ხულო	1750
სულ			**9750**

მუხლი 2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი აქტი, რომლითაც ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში მოხდება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრა შესყიდვის მომენტისათვის ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით.

მუხლი 3 უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს ამ დადგენილების საფუძველზე უსკოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული აქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში საწვავის შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტალონური სისტემით საოლქო საარჩევნო კომისიებზე გადაცემა.

მუხლი 4. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ მათთვის გადაცემული საწვავის მიზნობრივად გამოყენება და ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №6 დადგენილება - „საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**